ადრესატი:

გია ონიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:**03-962519524**
თარიღი: **14/07/2025**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის

2025 წლის ექვსი თვის ანგარიში

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, სამსახურის უფროსის მოადგილის, ორი განყოფილების, ორი მთ.სპეციალისტის და ორი შტატგარეშე სპეციალისტისაგან.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მარტი N-516 განკარგულების შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოიყო 4 283 350 (ოთხი მილიონ ორას ოთხმოცდასამი ათას სამას ორმოცდაათი) ლარი. დაფინანსებული პროექტების ჩამონათვალი წარმოდგენილია დანართის სახით. იხ.დანართი.

საქართველოს მთავრობის 2025წ. 19 ივნისი N-1004 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტს სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოეყოს 439 000 (ოთხას ოცდაცხრამეტი ათასი) ლარი. წარმოგიდგენთ დაფინანსებულ ობიექტებს დანართის სახით.

საქართველოს მთავრობის 2025წ. 16 იანვარი N-53 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყოს 604000 (ექვსას ოთხიათასი) ლარი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწონებული ნუსხის შესაბამისად სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელ სამუშაოებზე სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაცია მოამზადა ლენტეხის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა.მოგეხსენებათ ,რომ სულ გვაქვს 60 სოფელი და ამ ეტაპისთვის 14 სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე გაფორმებულია ხელშეკრულება.

ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში გაიცა ნებართვა, შ.პ.ს ,,ნეშარ ჰესი“ -ზე სოფ. ცანაში მე- 3 კლასის მცირე ზომის ჰესის მოწყობაზე, რომლის სიმძლავრე არის 1,78 მგვტ. ბიუჯეტში ჩარიცხა მოსაკრებელი 5115 (ხუთი ათას ას თხუთმეტი) ლარი.

შპს ,, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს მიეცა ნებართვა მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე აწარმოოს ლაბორატორიის და სათავე ოფისის ნაგებობების მშენებლობა.შპს ,, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ ბიუჯეტში ჩარიცხა მოსაკრებელი 20256 (ოცი ათას ორას ორმოცდათექვსმეტი) ლარი .

ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში მომზადებულ იქნა: დაბა ლენტეხში სასაფლაოების შემოღობვა 24509 (ოცდაოთხი ათას ხუთას ცხრა) ლარი, სოფ. რცხმეურის საბავშვო ბაღის შემოღობვის სამუშაოები 15122 (თხუთმეტი ათას ას ოცდაორი) ლარი .

ადგილობრივი დანიშნულების შიდა სასოფლო გზების გაწმენდვა გასუფთავება ჩამონაშალი ქანებისგან 70043 (სამოცდაათი ათას ორმოცდასამი) ლარი. დაბა ლენტეხში ლეგვერალის უბანში გარე განათების მოწყობის სამუშაოები 11190 (თერთმეტი ათას ასოთხმოცდაათი) ლარი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწონებული ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის შესაბამისად ინფრასტრუქტყურის და არქიტქტურის

სამსახურის მიერ შესწავლილ და შედგენილ იქნა შესაბამისი დეფექტური აქტები. ობიექტების საპროექტო სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება თითქმის დასრულებულია, დარჩენილია რამოდენიმე პროექტი,რომლის დაგვიანების მიზეზიც არის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის უარყოფითად დასრულება.

მიმდინარე წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურში შესასწავლად და სხვადასხვა უწყებებში შუამდგომლობისათვის შემოვიდა როგორც მოსახლეობიდან ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებიდან 560 წერილი და განცხადება, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ყველა შემოსულ კორესპოტენციაზე გავეცით პასუხი.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის

სამსახურის უფროსი: /ლ.ლიპარტელიანი/

14.07.2025წ.

ლევან ლიპარტელიანი

ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი